ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№44. 442521234
თარიღი:31/07/2025

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-36 მუხლების, 1261 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, საქარტველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-1 მუხლისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ II[1] თავის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს ღია კონკურსი პროფესიულ საჯარო მოხელეთა რიგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კერძოდ:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – 1 (ერთი) ერთეული;

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ბავშვის სოციალური მუშაკი) –2 (ორი) ერთეული;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს შიდა კონკურსი პროფესიულ საჯარო მოხელეთა რიგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კერძოდ:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების

განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 2 (ორი) ერთეული;

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის, კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი - 1 (ერთი) ერთეული.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად განესაზღვროს არანაკლებ 5 /ხუთი/ კალენდარული დღე.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლია მხოლოდ ელექტრონულად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

6. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი